წერილის ნომერი: **14-1421362453**
თარიღი: **28/12/2021**
პინი: **4251**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

წევრს, ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2021 წლის 24 დეკემბრის NNN07-1421358468-14 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილება, რომელშიც ახალ სამშენებლო ზონებთან მორგების მიზნით ცვლილებები შევიდა 2020 წლის 25 თებერვალს.

რაც შეეხება თქვენი სადეპუტატო შეკითხვის მეორე და მესამე ნაწილს, ვინაიდან ქ. ბათუმის ტერიტორიზე მოქმედებს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა „ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირველი მუხლის ,,კ” ქვეპუნქტით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდი არ გვაქვს.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი